ხელშეკრულება ფართის იჯარაზე

ქ.თბილისი 1 სექტემბერი 2015 წ.

მეიჯარე შპს"ჰერეთი" (ს/ნ. 205022740) მისი დირექტორის მედეა ჭიჭინაძის სახით ერთის მხრივ და

მოიჯარე შპს "კამელია ფლაუერს" (ს/ნ 405113363) მისი დირექტორი ბონდო მაჭავარიანის სახით მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა ფართის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს ფართს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში.

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ.1-ში მდებარე პავილიონი.

1.2. იჯარით გადასაცემი საერთო ფართი 13 მ.კვ.

2. იჯარის მიზანი

2.1. საიჯარო ფართი მოიჯარეს გადაეცემა საცალო რეალიზაციის ობიექტის მოწყობისათვის.

3. ფართის გადაცემის წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი და ქონება უნდა გადაეცეს მოიჯარეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

4. იჯარის ვადა

4.1 იჯარის მოქმედების ვადაა 01.09.2015-01.09.2016 წლამდე პერიოდი.

4.2 საიჯარო ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

4.3 საიჯარო ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო ერთი წლით თუ მეიჯარე წერილობით შეტყობინებას არ გაუგზავნის მოიჯარეს ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ.

4.4 მეიჯარე ვალდებულია 3თვით ადრე შეატყობინოს მოიჯარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5. საიჯარო ქირა

5.1 საიჯარო გადასახადი განისაზღვრება ყოველთვიურად 200 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ოდენობით დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით

გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული საგალუტო კურსის მიხედვით 236 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ოდენობით.

5.2 საიჯარო ქირის გადაიხდა მოხდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის 15 რიცხვისა.

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.4. საიჯარო ქირა არ ექვემდებარება გადასინჯვას, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.5. საიჯარო ქირის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

6 მეიჯარის უფლებანი და მოვალეობანი

მეიჯარე ვალდებულია:

6.1. უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენება მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

6.2 საკუთარი სახსრებით შეასრულოს საიჯარო ფართისა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული რემონტი.

7 მოიჯარის უფლებანი და მოვალეობები.

7.1. მოიჯარე ვალდებულებას კისრულობს:

7.1.1 საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

7.1.2. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა და კომუნალური გადასახადები.

7.1.3. ჯეროვან წესრიგში იქონიოს საიჯარო ფართი, სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

7.1.4. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს საიჯარო ფართის მიმდინარე რემონტის სამუშაოები.

7.2. მოიჯარეს უფლება აქვს:

7.2.1 შეუფერხებლად ისარგებლოს შენობაში არსებული კომუნიკაციებით მეიჯარის თანხმობის შემდეგ.

7.2.2. მოაწყოს და გააფორმოს საიჯარო ფართი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

7.2.3. კანონის დაცვით მოაწყოს და ცვლილებები შეიტანოს საიჯარო ფართის გარე ნაწილზე.

7.2.4. მიუთითოს თავისი მდებარეობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების მეშვეობით, როგორც შენობაზე ისე შენობის წინ.

7.2.5. ხარჯში გაიტაროს მის მიერ გადახდილი კომუნალური გადასახადები.

8. საიჯარო ფართის და ქონების დაბრუნების წესი.

8.1.1. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის მოთხოვნიდან 3თვის განმავლობაში დაცალოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მეიჯარეს გადასცეს საიჯარო ფართი.

8.1.2 ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება–ჩაბარების აქტით .
8.1.3. მეიჯარეს საიჯარო ფართი და იჯარით გაცემული ქონება უნდა დაუბრუნდეს ისეთივე მდგომარეობაში, როგორიც იყო იჯარით გადაცემისას, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

8. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

9.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

მეიჯარე

შპს"ჰერეთი"
სს"საქართველოს ბანკი"

GE28BG0000000275228300

დირექტორი:
/მჭიჭინაძე/

მოიჯარე

შპს "კამელია ფლაუერს"
სს"თიბისი ბანკი

GE72TB7495836080100004
დირექტორი:

/ბ.მაჭავარიანი/